

3-67



ყოველ-კვირეული ჟურნალი

№ 12

თბილისი 1967



Handwritten notes in a purple box, including a signature and some illegible text.

ფასი 10 ლა.

---

მორთხორვეთ კორკვერკათიული რქვე

≡ „**ლილილი**“ ≡

ქვექვეთა ამხანგობა „ლილილი“ თხვისი ნამდვილი და ჰვიკენური რქით მოიპოვა კარ-  
კი ბახარი და ხელა აფართოვებს თხვისი საქმეებს, რითაც შეძლება მიეცა მსურველთ  
მიწოდოს საუკეთესო რქე ბინახედ, ცალკე დაბეჭდილ ჰურჭელთ.

რქის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „კლდე“ გაბაევსკიი პერ. № 3. და  
ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: **Барятинская 5.**



---

ფრანგულ-კავკასიური

საეატრო და სამრეწველო ბიურო

„**იპეტი**“ კარნიზი

≡ იძლევა უოველ გვარ ცნობას,

ჰუიდის მადნეულობას და სხ. ≡

ადრეხი: Paris Faubourg Montmartre 10

---

33(05)

5-67



№ 12

17 მარტი 1913 წ.

წილი 1 წლ., — 5 მან. 6 თვ. — 2 მ. 75 კ., 3 თვ. — 1 მ. 50 კ., 1 თვ. — 50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



ყოველ კვირეული საზოგადო. ეკონომ. მიური და სალიბერატურო შუროალი

რედაქცია ღიაა 10-3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზისა: თბილისი კლდე.

### ქუროკლდის კანტორისაგან

რედაქციაში იყიდება ქურონალ კლდის დაკანშული კომპლექტები 1912 წლისა. ფასი ქალაქში. — 1 მან. ქალაქ გარედ — 1 მან. და 25 კ.

ყველა ხელის მომწერო ვოხოვო დროით შეგვატყობინონ ხოლომე, თუ რიგზედ არ მისდით ქურონალი, რომ თავდარიგი დაკვიკიროთ.

სარჩევი: ოდესმე გაფურჩქვნილი ქართული კულტურა. — ალ. ყიფშიძისა. „სახალხო გაზეთის“ ვიწრო და მთავრობის „ფართო“ შეხედულება. — შ. ამირეჯიბისა. ახალი ამბავი. შიმქ. სულის ადს. — დ. კასრაძისა. ბიოტიკა და კრიტიკა. — ფარსმან-ფარუხისა. საუბარი შევიტარა ახედ. — ლ. დიასამიძისა. ქ. თეატრი. — ნიჩბისელისა. თეატრი და ხელოვნება. — ქართლელისა. ადრია-ნობ. დამსობა და სხ. სათათბ. — მეომარისა.

### „ოდესმე გაფურჩქვნილი ქართული კულტურა“...

მდინარე ქოროხის ხეობა, იქ, საცა მდებარეობს ტაო-კლარჯეთ-შავშეთი, მერვე საუკუნის დასასრულს და მეცხრე საუკუნის დასაწყისს, ქართველის მაჯა მძლავრად სცემდა. ქართველის კაცის ქეუა და გონება ვარდივით გაიშალა და გაიფურჩქვნიდა. მდინარე ქოროხის ტოტებზე — კარხხალ-იმერ-

ხეზე გაჩაღდა სამონასტრო ცხოვრება, სწავლა-მეცნიერება და ლიტერატურული მოღვაწეობა სწავლულ და მეცნიერ ბერ-მონაზონთა. ტურფა და მშვინიერ სავანესა და მონასტრებში სჩქეფდა კულტურული ცხოვრება; შუქი და ნათელი ასეთის ცხოვრებისა უხვად ეფინებოდა მთელს საქართველოს.

მაშინდელმა ევროპამ და აზიამ არ იცოდა, რა ხილი იყო დღევანდელის ტიპის უნივერსიტეტ-აკადემია, მათს მაგიერობას სწევდნენ სავანე-მონასტერნი, სადაც თავს იყრიდნენ სწავლა-მეცნიერების და ღვთის მეტყველების მოტრფიალენი და მუშაკნი. ამ გვარი მოღვაწეობით სახელი გაითქვა წმ. სინას მთამ სწორედ ამნაირივე კულტურული კერა გაგვიჩნდა ჩვენს ქართველებს, მერვე საუკუნის ბოლოს, ქოროხის ხეობაში. ვის არ მოეხსენება დიდებულ, შესანიშნავ და ღვაწლით მოსილ სავანე-მონასტერთა სახელი: შატბერდისა, ტბეთისა, ოპიზისა, ხანძთისა, წყაროს-თავისა და სხვათა მრავალთა? აკადემიკოსი ნ. ი. მარტი სამართლიანად უწოდებს ქოროხის ხეობაში გაჩენილ სავანე-მონასტერთა კრებას ქართულ სინას. ქართულ სინას სავანე-მონასტერნი, მაშინდელ მეცნიერების და ლიტერატურის ბუდენი, გახდნენ შემაერთებელ ხიდად საქართველოისა და ბიზანტიისა, ერთის მხრივ და საქართველოისა და სომხეთისა, ანუ აღმოსავლეთისა, მეორეს მხრივ. ქართულ სინას წყალობით და შემწეობით ქართველობა ჩაბმული იყო საერთო, საკა-

ცობრივო კულტურულ ფერხულში და სხვებთან ერთად ღვაწლით იმოსებოდა.

როგორც ბევრი რამ, ქართული სინაც დაგვენ-გრა, დაგვეშალა. გავერანდა ეს შესანიშნავი კუთხე, მოწამე ჩვენის კულტუროსნობისა და სულის უნარისა. დადუმდა ბაგენი ოკროპირთა და მჭერმეტყველთა! გარედან მოსულმა მტერმა ამოაგდო ეს კუთხე საქართველოისა, მიწად და მტვრად აქცია იგი, მიანგრ-მოანგრია შენობანი და მკვიდრი ქართველობა გადაგვარების და გადაშენების გზაზე დააყენა.

რას წარმოადგენს დღევანდელი ტაო-კლარჯეთ-შავშეთი? უდაბნოს და ვერანას. ქართული სიტყვა-პასუხი თითქმის აღარ იხმის, ეკლესია, საგანემონასტერნი დანგრეულ-დაქცეული და წაბილწულია. პირველად ამ კუთხის ამბავი გვაცოდინა გ. ნ. ყაზბეგმა და დ. ზ. ბაქრაძემ. მეორედ საოცარის დასურათებით შეგვატყობინა აკადემიკოსმა მარმა, თუ რა ყოფილა ძველად კლარჯეთი და რას წარმოადგენს იგი დღეს. გული სევდით გვესება, ბოლმა გახრჩობს, სული ჰკვნესის და აუტანელ ტკივილს ჰკრძნობ, რომ ჰკითხულობ მარის მოგზაურობის შესანიშნავ დღიურს. სინამდვილეს ეურჩები და არ გინდა დაიჯერო, რომ ყველა ის რაც იყო, დღეს აღარ არის, რომ გაჰქრა იგი ვითა სიზმარი ღამისა, რომ შატბერდი ველარ შატბერდობს და მის წმინდანანგრევებზე გადამღვრძალი თხა ჰგდია და ნაგვის ზვინები დაუყენებიათ.

ნ. ი. მარმა აღმოაჩინა შესანიშნავი ხელთნაწერი იერუსალიმში: შრომაი და მოღვაწეობაი ღირსად-ცხოვრებისა წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაი ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაი და მის თანა მრავალთა მამათა ნეტართა. ხელნაწერი ნათელს ჰფენს ჩვენის წარსულის მთელს ეპოქას. იქიდან სჩანს, რომ ქოროხის და მის ტოტთა ნაპირებზე მერვემეცბრე საუკუნეებში განყენებულთა დამოუკიდებულნი რესპუბლიკა ყოფილა, სადაც მცონარეობისა და ნაყოფების მაგიერ სდულდა კულტურული ცხოვრება და გონივრული სალიტერატურო მოღვაწეობა.

აი სწორედ ამ გამქრალ და აწ აღარ არსებულ განყენებულთა რესპუბლიკის, ესე იგი წმიდა ქართულ სინას, მოსახილველად წასულა 1904 წელს, ზაფხულში, აკადემიკოსი ნ. მარრი. თვეზე მეტი დაჰყო შავშეთ-კლარჯეთში აკადემიკოსმა და ნახული და გაგონილი შეიტანა თვის შესანიშნავ დღიურში,

რომელიც დღეს უკვე დაბეჭდილია რუსულად. აკადემიკოსი ნ. მარრი ღრმა მეცნიერია, უკვე ხანში შესული და სულ წარსულის და ეამთა-ვითარების კვლევა-ძიებაშია. ამისთანა აღმოაჩინა პატივმიღება, გაწიწმატება და ქაბუკური აღტაცება-აპრიალეზა აღარ ეხერხება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოდეს იხილა წაბილწული სიწმიდე ნაჭირნახულევე ერისა, იგრძნო მწვავედ და მწარედ ტკივილი გულისა, თითქოს ტანში ნესტარი დაჰკრესო და დაეკოდა გული სიბრაზისა და ბოლმისაგან მეცნიერს.

აი როგორ აგვიწერს აკადემიკოსი ნ. მარრი იმ წუთს, ოდეს მიუახლოვდა შატბერდს (იხ. მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთს, დღიური, გვ. 139, 140, 14 აგვ.). „ამ ეამად პატარა სოფელი ცარიელია; ხალხი გაკრეფილა სამთა-შაროდ, საიალად. ვენახებს დაუბრუნდება სოფელი რთვლის პირზე. მუხთარმა (მამასახლისი) შეგვიყვანა ღამის გასათევად ეკლესიის ეზოში. დიდად მომეწონა მუხთარის ასეთი განზრახვა. ვიფიქრე: „სტუმრად ვიქნები ამაღამ გრიგოლ ხანძთელთან; სტუმრად ვიქნები ამაღამ მეთე საუკუნის შატბერდის კრებულის შემდგენელ-გადამწერლებთანო, გამიელვა თავში და ისე მეჩვენა, რომ დაღლილობა ჰქრება ჩემში, რაკი ფიქრით და გონებით უერთდები და ვესისხლხორცები ოდესმე ვარდივით გაფურჩქვნილ ქართულ კულტურის დავიწყებულ მუშაკთა. უფრო აღრე, ვიდრე სავანეს ვიხილავდი, ჩემი არსება მოიცვა თანამედროვე ქვეყნის განშორების გრძნობამ. ვგრძნობდი ისეთს სიახლოვეს ამ საბერო-სამონაზნო კუთხის ნამდვილ არსებობისას, რომ სრულიადაც არ გამოცდებოდა, თვით გრიგოლ ხანძთელი რომ მომვლინებოდა ხორციელად და მოეცა ჩემთვის პასუხი იმ კითხვაზე, რომელმაც აქ მომიყვანა—თუ სად არის შატბერდი? მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლს უწოდებენ ხანძთელს, მიუხედავად იმისა, რომ შატბერდი გრიგოლის პირში იყო, მე ასე მგონია და ისე მაქვს წარმოდგენილი, რომ გრიგოლს ხანძთაზე მეტად შატბერდი უყვარდა და უფრო მეტად შატბერდი ჰქონდა შეთვისებული. შატბერდისადმი გრიგოლის სიყვარულსაც გვერდი რომ აუქციოთ, მაინც შატბერდი იპყრობს ჩემს გულის-ყურს, როგორც ცენტრი სალიტერატურო მოღვაწეობისა, რომელმაც გაამაგრა ნიადაგი ქართველთა დაწაფებისა დასავლეთის, ბიზანტიის კულტურასთან და ამავე დროს ხელს უწყობდა, ან აღორძინებდა ქართველოისა და სომხის აზრის ურთიერთობას, საერთოდ კი აკავ-

შირებდა აღმოსავლეთთან. ერთის სიტყვით, ჩემის წარმოდგენით შატბერდი იყო ცენტრი სალიტერატურო მოღვაწეობისა, რომელმაც კეთილად იმოქმედა საქართველოს მომავალ კულტურულ ზრდაზე. სიამოვნებით გადავსდგი ფეხი კარის დირეზე! სულს მოეფონა და მოეშვა, სიხარულის და ნეტარების ცრემლი მოჰადგა თვალით, იმ აზრით და ფიქრით ვამსჯვალულს, რომ შევდივარ განათლების ადრინდელ მუშაკთა მყუდრო და სხვისა თვალთაგან მოშორებულ კუთხეში

მაგრამ, ვაი, რომ ასეთი ნეტარი ვითარება სულისა სწრაფად გაჰქრა და ერთ გამოუთქმელმა სიბრაზემ შემიპყრო, ოდეს ვიხილე შატბერდის ეკლესიის ეზო თავლად, ბოსლად და სანაგვედ ქცეული. სამრეკლო საივედ გაუკეთებიათ, ასე რომ

კაცი ვერ შევა შიგნით, გასინჯვას თუ მოინდომებს. ღეთისმშობლის ეკლესიაში, აღმოსავლეთის ფანჯრის ქვეშ, ტრაპეზის ამაღლებულ ადგილზე მკვდარი თბა ევლო და იქაურებმა ნაჭვით და უსუფთაობით იყო სავსეო“.

თავლა, ბოსელი, ნაგავი, გადამღრძვალთ თბა, ერი, რომელმაც სრულებით დაივიწყა რომ მისნი წინაპარნი, მამა-პაპნი ქართველები ყოფილან,— აი სურათი დღევანდელის „ქართულ სინას მთისა“, სადაც იღვწოდა და მუშაკობდა გრიგოლ ხანძთელი და სხვანი ნეტარნი განსადიდებლად ქართველის ერისა და სამშობლოს ასაყვავებლად კულტურულად.

ალ. უიფშიძე.

## „სახალხო გაზეთის“ ვიწრო და მთავრობის „ფართო“ მკვლევრობა

ჩვენს ჟურნალში მოთავსებულმა ბ. ფარის წერილმა ჩვენი პრესა ააღაპარა. ჩვენს წინააღმდეგ შეერთდნენ ისეთი გაზეთები, რომელთაც ერთმანეთთან საერთო მეტად ნაკლები აქვთ. „თემი“ და „იმერეთი“ დე ოკრატულ ისრებს გვესვრიან და „სახალხო გაზეთმა“ ისიც კი გვჩვენა, თუ როგორ შეიძლება საკუთარ თავთან ბრძოლა ცეცხლისგან შეშინებული დოს უბერავდამო — ნათქვამია და დუმილიც რომ რეაქციონერობაში არავის ჩამოგროთმია, იგი მთელის მეთაურით გამოვიდა ჩვენს წინააღმდეგ. მათ სურთ ჩვენ თავზედ კაკალი ამტვირონ და ისე აღადგინონ თავიანთი დემოკრატიული პრესტიჟი. ვერც ერთმა ზემო ჩამოთვლილმა გაზეთთაგანმა ვერ გაიგო შინაარსი ჩვენის წერილისა და ეს გარემოება ჩასთვალეს საკმაო საბუთად ჩვენი მიმართულება რეაქციონურ მიმართულებად აღვარებინათ.

მკითხველისთვის რომ ნათელი გახდეს, რაშია საქმე, იძულებულნი ვართ გავიმეოროთ ფაქტური მხარე იმ „ამბავისა“, რომელსაც ვხებოდა ბ. ფარის წერილი. გორის მაზრის მემამულე მდივანმა მოისურვა თხუთხმეტ კომლ ხიზნისთვის მამული შეესკიდვინებინა. ხიზნებმა ამაზე უარი უთხრეს; და თუ რად ეტყოდნენ ხიზნები უარს, ადვილი გასაგე-

ბია მისთვის, ვინც დაახლოვებით იცნობს იმ დამოკიდებულებას, რომელსაც ხიზნობა ეწოდება, აქ შეიძლება გლახებს მრავალი მოსაზრება ჰქონოდათ. მაგრამ ჩვენ ავიღოთ ისეთი შემთხვევა, რომელიც უფრო გლახ ხიზნებს გაამართლებს, ვიდრე მემამულე მდივანს. ვიფიქროთ ერთ წუთს, რომ ხიზნებმა იმიტომ სთქვეს უარი გამოსყიდვაზედ, რომ მათ ამისი საჭირო თანხა არა ჰქონდათ.

ვინაიდან ხიზნები კანონის მიერ „თავისუფალ მდგომარეობის“ ადამიანებად არიან გამოცხადებულნი, მდივანი, უარის შემდეგ, ძალას ვეღარ დაატანდა გამოსყიდვაზედ. მაგრამ საქმე ის არის, რომ თვით მემამულე მდივანიც ამ შემთხვევაში კანონის მიერ „თავისუფალი მდგომარეობის“ ადამიანად არი აღიარებული, რომელსაც ნება აქვს თავისი მამული ისე წარმართოს, როგორც მას მოესურვება. მაშინ მან მიმართა ისეთ საშუალებას, რომლის ნებასაც კანონი აძლევს. მან მოისურვა სრულიად გაენთავისუფლებინა თავისი მამული ხიზნებისაგან და ამაში კანონიერი სასყიდელი შეაძლია. ხიზნებმა ამაზედაც უარი სთქვეს და თავის მხრივ დებუტატ ჩხეიძეს შეატყობინეს საქმის ვითარება. ამ ისტორიის შემდეგ თბილისში მოვიდა უცნაური ამბავი:

სენატორი ვატაცი შეპირდა დეპუტატ ჩხეიძეს—ამ რეპრესიას შევაჩერებინებო. ბ. ფარი შეეხო ამ საკითხს და ეჭვი გამოსთქვა, როგორ შეიძლება მთავრობის წარმომადგენელმა კანონიერ აქტს მამულების შესყიდვისას რეპრესია უწოდოსო.

აი რა იყო უმთავრესად ნათქვამი ჟურნალ „კლდეს“ მე-10-ე ნომერში. ჩვენმა „დემოკრატებმა“ აქედან ერთად ერთი დასკვნა გამოიყვანეს — ვითომ ჩვენ რეაქციონერები ვართ.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ როდესაც ჩვენ ამ საკითხს შევეხეთ, გვიანტერესებდა უფლებრივ მდგომარეობის საკითხი და არა ეთიკური და ეხლაც ვიმეორებთ, რომ მთავრობის წარმომადგენლის მხრივ ასეთი განცხადება დაუჯერებელია. ასე არ უცქერის „სახალხო გაზეთი“ და პირიქით გვეუბნება: „თუ ვატაციმ ასე ფართოდ შეხედა საქმეს და ხიზნების საკითხის გარდაწყვეტის მოლოდინში მემამულეების და ხიზნების ურთიერთობის გამწვავება არ მოისურვა, მაღლობის მეტი არაფერი ეთქმის“.

ამ წინადადებაში გამოთქმულია აზრი, რომელიც შეიძლება მკითხველსაც მოეწონოს. „სახალხო გაზეთი“ მომხრეა იმისა, რომ მთავრობა ხანდახან სასარგებლოდ ჩაერიოს ხალხს საქმეში და მთავრობის ამ სასარგებლო ჩარევამ შეიძლება მოხიბლოს მკითხველი. რა თქმა უნდა, რომ ყოველი სასარგებლო ჩარევა—სასარგებლოა. მაგრამ როდის? როცა არ ირღვევა კანონი, უფლება. სანტიმენტალურ ადამიანებისთვის ისე ადვილი არაფერია, როგორც შებრალება თხუთმეტი კომლი ხიზნისა და ჩვენა გვგონია, კაცმა რომ ეს შესძლოს, ამისთვის არც დემოკრატიზმია საჭირო, არც მემარჯვენეობა. მაგრამ როგორია მდგომარეობა პოლიტიკური პარტიისა, როცა იგი თხუთმეტი კომლი ხიზნისთვის კანონის დარღვევას ტაშს უკრავს, მაგრამ არა ამ კანონის უარყოფით, არა ახალის კანონის გამოცემით, არამედ მთავრობის სასარგებლო ჩარევით საქმეში. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მთავრობა დააჩვიო „საქმეში ჩარევას“ და მერე სად არის იმის გარანტია, რომ მთავრობა მაშინაც არ ჩაერევა საქმეში, როცა ეს სასარგებლოდ არ მიგაჩნია?

სახელმწიფო ცხოვრებაში ყველა დემოკრატიულ პრინციპზედ მაღლა უფლებრივი პრინციპი უნდა იდგეს. კანონის დაურღვეველობა, აი რა არის ფუძე სახელმწიფოსი. დეე, კანონი ცუდი იყოს, — ის, ვინც მიეჩვენა მის აღსრულებას მას აღასრულებს

მაშინაც, როცა იგი უკეთესი კანონით შეიცვლება და ეს კი ბევრსა ნიშნავს.

რუსეთი დემოკრატიულის პრინციპებით კი არ არის ღარიბი, მასში ნაკლებია უფლებრივი პრინციპის შეგნება. კანონი მუდამ იყო, მაგრამ მასთანავე არსებობდა მთავრობის „ფართო შეხედულობა“, რომელიც ბოლოს უღებდა ყველა კანონს. მთელი პროგრესიული და დემოკრატიული რუსეთი დღეს იმასა სჩივის, რომ კანონს არღვევენ ადმინისტრაციული წესით, დემოკრატიული „სახალხო გაზეთი“ კი გამოდის და სწორედ მთავრობის ამ „ფართო შეხედულობას“ უკრავს ტაშსა. ბერძნები ამბობდნენ: ძვირფასია პლატონი, მაგრამ ჭეშმარიტება პლატონზედ უძვირფასესიაო. ასევე ითქმის უფლებრივ პრინციპის შესახებ. დემოკრატიზმი ცხოვრების ეთიკური მხარეა და როცა მარტო მას იცავ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს—ცხოვრება განსაცდელში აღარ იყოს. ყველაზედ უძვირფასესია ის, რაც ბერძნებისთვის „ჭეშმარიტებას“ შეადგენდა და ჩვენთვის კი „უფლებას“. ამიტომ სინარულით უნდა ვეგებებოდეთ მხოლოდ კანონის საუკეთესოდ შეცვლას და არა საუკეთესოდ დარღვევას.

იმ საკითხში, რომელსაც ჩვენი ჟურნალი შეეხო, ეს კანონის დარღვევა იყო აღნიშნული და ზემო მოყვანილი აზრი გამოვსთქვით. ეხლა, როგორც მკითხველი თითონ დაინახავს, აქ რეაქციონური არაფერია. პირიქით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ თვით „სახალხო გაზეთის“ მსჯელობაა, თუ რეაქციონური არა, ყოველ პრინციპიალობას მოკლებული მაინც.

მაგრამ მარტო ამ უპრინციპობას არ სჩადის გაზეთი. ტაში დაუკრა რა მთავრობის „ფართო შეხედულობას“, ესე იგი კანონის დარღვევას, ინსინუაციებს მიჰყო ხელი. არ ვიცით რად, მაგრამ გაზეთმა წარმოიდგინა, რომ ჩვენ ხიზანთა ინსტიტუტის მოსპობის წინააღმდეგნი ვართ. რადგანაც ასეთი აზრი ჩვენ არსად არ გამოგვიჩვენა, იძულებულნი ვართ ვიფიქროთ, რომ გაზეთმა ეს დასკვნა თავის საკუთარ თათიდან ამოსწოვა. მაგრამ გაზეთი აქ არ შეჩერდა და ისიც აუხსნა თავის მკითხველებს თუ რათა ვართ ჩვენ ხიზანთა ინსტიტუტის დამცველნი. მისის აზრით, იმიტომ ვყოფილვართ „ხიზნობის“ მოსპობის წინააღმდეგი, რომ ქართველ თავად აზნაურობის მამული საზოგადოებრივ გლეხების ხელში გადავა და კერძოთ ოსებისა, ამ უცხო ელემენტის ხელში. „ეს ის საფრთხობელია, რომელსაც

აფრიკალებენ ხოლმე ყოველთვის თავად-აზნაურთა იდეოლოგიები დახდენს გაზეთი.

აქამდის თითონ „სახალხო გაზეთს“ უსაყვედურებდნენ თავად-აზნაურთა იდეოლოგობას, მაგრამ, სჩანს, ამინდი შეიცვალა. თავად-აზნაურთა იდეოლოგიები ახლა ჩვენა ვყოფილვართ. თითონ ვინდა ბრძანდებიან, ვეკითხებით გაზეთს? რომელია ის წოდება, ის კლასი, რომელსაც ისინი იცავენ? მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ გაზეთისგან ამის პასუხს ვერ მივიღებთ და მოლოდინით თავს არ შევიწყენთ.

„სახალხო გაზეთმა“ სწორედ ის გვისაყვედურა, რაც აზრად არ გაგვივლია. ამას არ გავივლებდით აზრად მაშინაც კი, რომ ხიზანთა საკითხში თავად-აზნაურობის იდეოლოგებად და დამცველებად გამოვდიოდეთ, მაგრამ გაზეთი ასეთ შეცდომას იმიტომ სჩადის, რომ ხიზანთა საკითხი ძალიან ნაკლებად ესმის. როგორ შეიძლება ხიზანთა ინსტიტუტის მოსპობის წინააღმდეგი ვიყოთ? ჩვენ არამც თუ არ გამოგვითქვამს საწინააღმდეგო აზრი არამედ ამ საკითხს ჯერ არც კი შევხებოვართ, და არც ამ წერილში ვაპირობთ მის განხილვას.\*) პირიქით ჩვენ რომ ხიზანთა საკითხში თავად-აზნაურობის იდეოლოგიები ვიყვნეთ, უპირველესად ამ ინსტიტუტის მოსპობის მომხრენი ვიქმნებოდით, რადგან მის არსებობით ყველაზე მეტად თავად-აზნაურობა ზარალიანობს. ამას ამტკიცებს თვით მდივანის ინციდენტაც. ადრე თუ გვიან ეს ინსტიტუტი მოისპობა და თავად-აზნაურობას სარგებლობის მეტს არას მოუტანს. მაგრამ სჩანს თვით „სახალხო გაზეთს“ არა აქვს წარმოდგენილი ის ზარალი, რომელიც უსათუოდ მოჰყვება ამ რეფორმას თუ ყველა ხიზანისთვის არა, უმეტესობისათვის მაინც. საქმე შემდეგშია. ჩვენის წარმოდგენით, ამ ინსტიტუტის რეფორმა იმავე საზღვრებში მოხდება, როგორც „ყმათა“ ინსტიტუტის გაუქმება. ხიზნებს ჩამოუჭრიან სწორედ იმდენ ზომა მიწას, რამდენიც მისცეს „ყმებს“. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხიზნები ბევრს ადგილას გაცილებით მეტსა ჰფლობენ ფაქტიურად, ვიდრე მაშინ, როცა მათ ეს „ნადგულები“ მიეცემათ, აქედან დასკვნა მხოლოდ ერთი უნდა იყოს: მემამულეებს პირიქით დაუბრუნდებათ ის მიწები, რომლებიც ზედ-მეტად უჭირავთ ხიზნებს.

მაშ რაშია საქმე? რის წინააღმდეგნი ვართ

\*) საესებით ხიზანთა „საკითხზედ“ რედაქციას ვრცელი წერილი ექნება. რედ.

ჩვენ და რის მომხრეა თითონ „სახალხო გაზეთი?“

არა გვგონია ამის პასუხი ჰქონდეს გაზეთს, და თუ მაინც გამოგვეკამათნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ „სახალხოელები“ ოფენბახის კანონმდებლობით, ან მაშინ გამოსთქვამენ ხოლმე თავის აზრს, როცა ყველაფერი გათავებულია, ან ქალაქ გლუპოვოს პოლისმეისტერივით მუდამ ნახევარ საათით ადრე მიდიან „პაჟარზედ“.

შ. ამარეჯობი.



### ახალი ამბავი

ადრიანოპოლი ბულგარელებმა აიღეს. შუქრი-ფაშამ ააფეთქა ყველა სამხედრო-საომარი საწყობი და ქალაქს ცეცხლი წაუკიდა.



ტერეშჩენკოვის დაჭრა. ლენის ტრაგედიის ცნობილი გმირი როტმისტრი ტერეშჩენკოვი, რომელიც ამ ჟამად მსახურებს პეტერბურგში, დაუჭრიათ შემდეგ პირობებში. ტერეშჩენკოვი იჯდდა კაფე-შანტანი „ელდორადოს“ ცალკე კაბინეტში ვილაც თავად ნიჟარაძესთან და ესაუბრებოდა უკანასკნელ ლენის ამბებზე, რომლებიც დათავდა მუშების დახვრეტით. ტერეშჩენკოვი ისეთი ცინიზმით ლაპარაკობდა მუშების დახოცვაზე, რომ ნიჟარაძემ ვერ მოითმინა, წამოვარდა ადგილიდან და თავის მოსაუბრეს რამდენიმე მკვახე ეპიტეტი მისთავაზა, როდესაც როტმისტრმა მოინდომა პასუხის გაცემა, ნიჟარაძემ იშიშვლა ხმალი და დაჭრა ტერეშჩენკოვი მკლაფში. „დილა“.



ქართულ თეატრში ორშაბათს, 25 მარტს, წარმოდგენილი იქნება „მეფე ედიპი“.



ხუთშაბათს 14 მარტს, სახაზინო თეატრში, სახ. სახლთან არსებულ წრის მიერ წარმოდგენილი იქმნა „ლალატი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. შესანიშნავი იყო მიზან-სცენები განსაკუთრებით მესამე და მეხუთე მოქმედებაში.



21 მარტს, საღ. 8 ნახევ. საათზე სახალხო

სახლში ბ-ნი გ. ჟორდანიას წაიკითხავს ლექციას (რუსულად): დანაშაული ღ სასჯელი ძველად და ახლა.

წარსულ შაბათს, 9 მარტს, სიტყვა-კაზმულ საზოგადოების წევრმა დ. კასრაძემ წაიკითხა მოხსენება: „მშვენიერება ხელოვნებაში“. მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ბ-ნმა გ. რცხილაძემ, ს. გორგაძემ, ი. ზურაბიშვილმა და სხვ.

### მიმქრალი სულის აღსარება\*)

\* \*

...იმ ღამეს მეტად გავიტანჯე. ვბორავდი. ვიფიქრე, ტანისამოსი მიშლის მეთქი. გავიხადე, მაგრამ მაინც ძილი აღარ შეკარებოდა. მხოლოდ გათენებისას დამძლია რულმა, ოდნავ მივლოულე თვალები. დილის ათი საათი იქნებოდა, რომ კარის კაკუნი შემომესმა.

— შემოდით!

ეს ჩვენი მოსამსახურე დედაკაცი იყო, მადლენა, რომელიც მეტად გალაზღანდარავდა ჩემთან, მეც არას ვუშლოდი, პრაქტიკა მექნება ენის შესასწავლად მეთქი და ათას სისულელეზე ვებაასებოდი; ხშირად ჩვენი ქვეყნის ავ-კარგიანობაზე, ჩვეულებაზე. ქალების პრესტიჟი სილამაზისა და სიღარბაისლის მხრით, ხომ სულ ცაში ამქონდა. მადლენა იღრიკებოდა და მთხოვდა, მეც წამიყვანეთ თანაო. მეც ვპირდებოდი, რა თქმა უნდა ხუმრობით, თან კი, როცა გავისტუმრებდი, ერთს რიგიანად გავაფურთხებდი; მიკვირდა, ასე რამ გააჯოჯოვა მეთქი. მაგრამ ის უფრო საოცარი იყო, რომ ეს გაქალარავებული და უკვე ბებრუხანობის საზღვრებამდე მისული დედაკაცი ამ რიგად იპრანჭებოდა და თხუპნია გასათხოვარ ქალსავით, დამკვნარსახის ღარებს ფერ-უმარილით ივსებდა ხოლმე.

— რა ამბავია, მადლენა? — ვეკითხები და საბნიდან შიშველი მკლავი გადმოვყავ. გაიღრიკა. წერილი გადმომცა, თანაც მანდატი, რომლითაც დედა ჩემი ხვედრს თვიურს ორას ფრანკს მიგზავნიდა. დედაკაცს ფრანკიანი ვაჩუქე. ვანიშნე, წადი მეთქი. იმას რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ შემატყო, გუნებაზე არ ვიყავი, მაინც კარებში შედგა და მკითხა:

— ყავა აქ მოგართვით?

— არა, ჩამოვალ სასადილოში.

კონვერტი გავხსენი. ქალმა კარები გაიხურა. დედა საიმისოს არასა მწერდა: გუნებას ვიხსენებდეს წერილზე მიპასუხებდა; მადლობა ღმერთს, რომ ჯანსაღადა ხარ და სწავლითაც კარგა მოვიგვარებია და არც ერთი წელიწადი არ დაგიკარგავსო.

წარმოიდგინეთ, ეს ამბავი იმის შეათვლითაც არ მეწყინა ეხლა, როგორც პირველად, როდესაც ჩემს სიცრუეზე დედის ასეთის სასიყვარულო წერილი მივიღე. ეხლა უკვე შერჩვეული ვიყავი. სინიღისი აღარ მექნჯნიდა, მით უმეტეს, დორასაგან გამხნევებული ვიყავ, რომ ერთ წელიწადში ორი კურსის ჩაბარება შეიძლება.

ავდექი თუ არა, სასადილოში ჩაველი. მადლენამ ყავა მომიტანა. საჩქაროდ „მატენი“ გადავათვალიერე, შემდეგ ჩემი საყვარელი „l'Humanite“, ქართული გაზეთები არ მომსვლოდა.

მადლენას უკვირდა ჩემი ასეთი ქცევა.

— გაწყენა ვინმემ?

— ჰო, ვეუბნები, პირველმა შენ.

გაიცინა.

— რატომ?

— უდრო-უდროოდ გამაღვიძე და იმიტომ.

— ჰო, მესმის, იცინის ხელახლად: თქვენ, უეჭველია, გუშინ საღამოც ჩაიქორწილეთ... ჰა-ჰა-ჰა! გიცნობთ ახალგაზრდებს!.. მით უმეტეს, ახალი შანსონეტები გვეწვივნენ პარიზიდან ღ თქვენისთანა ახალგაზრდები ხომ მათი მორჩილები არიან.

ხმა არ გავეცი. ავდექი და საჩქაროდ ფოსტის განყოფილებისაკენ გავეშურე, რომ ფული ამეღო.

ორასი ფრანკი უბეში ჩავიდე და შინისკენ მოვდიოდი, რომ ერთს მალაზიაში შევუხვიე, სადაც ო-დე-კალონი ვიყიდე, პატარა სავერცხელი ულვაშების და სხვა და სხვა საპირფარეშო წამლები, რომელთა ყიდვა არასოდეს ჩვეულებად არა მქონდა. გუნება მთხოვდა, ის შერჩვენებული ჩემი გუნება, რომელიც ცირკში მოთამაშე ტაკი-მასხარას სამოსელში გამოკვანათულა და ამ წამს თუ მალაყებით მაცივნებს, მეორე წუთს ქერუჭმელ ცხენსავით ცხვირს ჩიჩვირივით დამაშვებინებს ხოლმე.

— მალაზიიდან ორი ნაბიჯიც არ გადამედგა, რომ დორა წინ შემომეყარა.

გავუღიმე. გამიღიმა.

— საით?

— პარიზისკენ. ხვალ დავბრუნდები.

მეწყინა, რომ მარტო მოდიოდა.

\*) იხ. „კლდე“ № 9, 10 და 11.

- გაგაცილოთ?
- არა.
- უჰ, მარტოობით ხომ სული დამელია.
- ვილმობლში ბევრი რამ არის გასართობი. ესეც არ იყოს...
- ესეც არ იყოს..?
- ხომ გითხარით, ხვალ აქ ვიქნები მეთქი. თუმცა... ხელახლად გაეცინა.
- იცი რა, მოდი, არ წავალ.
- გამეხარდა, რომ დორამ აზრი გამოიცვალა.
- ეხლა სად წავიდეთ?
- სადაც გნებავთ.
- მაინც?

ცხელოდა. ვარჩიეთ, ყავახანაში შევსულიყავით. ჩვენს მეტი თითქმის არავინ იყო. მოვითხოვეთ მიუნხენის ლუდი. მაგიდაზე გაფანტული პროგრამები გვანიშნებდა, რომ მართლა ვილმობლს პარიზელი შანსონეტი ქალები სწვეოდნენ. გადავწყვიტეთ, სადამოთი კიდევ მოვსულიყავით და გვეყურნა ამ ახალ მოსულების მაიმუნებისათვის. თვითულის გამოსვლას და პრანკვა-გრეხით კუბლეტების შესრულებას ჩვენებურად გავაკრიტიკებდით და ბევრსაც ვიცინებდით. საზოგადოთ ასეთს შემთხვევაში მე იუმორისტული ნიჭიც გამომაჩნდა, ესე იგი, სწორედ მაშინ ვენამახვილობდი, როდესაც მე და დორა მათ თამაშობის კრიტიკას მოვყვებოდით ხოლმე. თუმცა ესეც კია, არ შემიძლიან დანამდვილებით ვსთქვა, რამდენად მოსწრებული შენიშვნები მქონდა. თუ რომ ასეთად ვთვლი, მხოლოდ იმიტომ, რომ დორა ყოველთვის იცინოდა და ნუთუ საბუთად ეს არა კმარა? და დორა ხომ ჭკვიანი ქალია! მეც ვიცინოდი იმის შენიშვნებზე, თუმცა, ღვთის წინაშე, ხშირად არავითარი გასაცინებელი იქ არა ყოფილა რა. მაგრამ აქ ისევ, ჩემი გუნების ბრალი იყო და სხვა არაფერი.

ჰმ, ჩემი გუნება! უეჭველია, ამ შემთხვევაში ისევ მასხარას სამოსელით თუ ხტუნაობდა ის შეჩვენებული!

\* \* \*

...მადლენა ვერას გზით ვერ დავარწმუნე, რომ დორა მხოლოდ ჩემი კარგი მეგობარია და მეტი არაფერი. სულელი! აქაოდა თავი გამიყადრაო, ბევრს რამეს მაკადრებს ხოლმე. სადაური კულტურაა, გეთაყვათ, დაბერებულა ქალი და ოდნავი ზნეობისა არა ესმის რა. ჩამცივებია, ეგ შენი საყვარელიაო. თითქოს შურს კიდევ.

მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ოთახის დალაგებას განგებ ისე აჭიანურებს რომ იძულებული ვხდები ქუდი დავიხურო და ერთი საათით დაბლა ბაღში ვისეირნო ჩემი დიასახლისის დატარებული-ლისთან. ღმერთო ჩემო, რა ანგელოზი ბავშვია ეს ლილი! განსაკუთრებით მიყვარს, როდესაც პიანინოსთან ჩამოჯდება და პატარა თითებით ლამაზად გაჭკრავს კლავიშებს! რამდენჯერ მინატრია, რომ ლილი ჩემი და იყოს. მისი დანახვა ჩემს ხსოვნაში აღვადებდა ერთი მშვენიერი გოგონას ლანდს, რომელიც ასე რიგად მიყვარდა ოდესღაც, სახელდობრ იმ ნეტარ დროს, როდესაც სამშობლოში ვიყავჯერ კიდევ გიმნაზიის მეხუთე კლასში, ეს იყო ჩემი სულიერი ბეატრიჩე, რომლის არსებობის შესახებ ეხლა მე აღარა ვიცი რა: გათხოვდა? შვილები ჰყავს: ისევ უმანკო არის? ვიცი ცხოლოდ, რომ იმ უმანკოების ხანაში მე მისი შეუდარებელი დანტე ვიყავ, ხშირად ჰამლეტიც, ის კი ბეატრიჩე-ოფელია, რომლისათვისაც შემექმნა სულ სხვა უკვე დასრულებული ღვთაებრივი კომედია, რომლის გამოქვეყნება მხოლოდ სულთა სამეუფოში თუ შეიძლებოდა მომხდარიყო, ისიც მაშინ, როდესაც ჟამნობის დროს გაისმის ანგელოზთა დასის გუგუნით ლაღისი. სწორედ აი ეს ლაღისი აკომპანიმენტად უნდა ყოფილიყო ჩემი პარმონიული მელიოდის ჩასამღერებლად.

მერე რა იქნება ეს პოემა? სად არის ამ პარმონიის ნასახი მაინც? სად არის თვითონ ეს ჩემი სულის ბეატრიჩე, ჩემი მადონა, რომელმაც შემექმნევინა ბეთპოვენის სიმფონიებზე უაღრესი მელიოდია, რომელშიაც არც ერთი ლაქვარდი ნოტა არ მოიპოვებოდა და ცისკრის სხივებზე გასხივოსნებულ ალიონსავით ციაგობდა! სად არის მეთქი მართლაც და ღვთაებრივი კომედია, რომელშიაც არც ერთი ფილოსოფიის ტლანქი ნაწყვეტი არ იყო ჩაქსოვილი, არც თუ პათოსით გატაცებულ რომელიმე პოეტის გრძნობა, არამედ სადაც გამოჰკრთოდა მხოლოდ უმანკო სულის სახეობა, რომლის ხილვა შეგასმენდათ უზენაეს სიმების შეთრთოლებას, ხოლო ღიმილი ხელთ აგაღებინებდათ რაფაელის პალიტრას, აღმოგაჩენინებდათ სულ სხვა უცხო ფერადებს უცნაურ ცხოვრების ამისტიურ შინარსიის ხმათა გადმოსაცემად!

მაგრამ დორა?..  
ჰო, დორა, დორა!.. მაპატიეთ, გეთაყვათ, მაპატიეთ ეს უადგილო და ულოდიკო ნახტომები: განა ტანჯულ-გაწამებულს სულს დალაგებით რაიმეს მოთხრობა შეუძლიან?

\* \* \*

...სალამოთი ვახშამი არ მიჭამია, არც თუ ყავა დავლიე, თუმცა მადლენამ ჩემს დაუკითხავად შემომიტანა ფინჯნით.

— რახან ვახშამს არ ინებებთ, ეს მაინც მიირთვით... მაგრამ ვანიშნე, არ მინდა შეთქი. კარებში შედგა. მხრები აიწია, მიყურა, მიყურა და უგემური ღიმილით ჩაილაპარაკა: უცნაურია!

კარები მივუხურე. საჩქაროდ პირი დავიბანე. ახალი პერანგი გადავიცვი, შემდეგ ო-დე-კოლონი გადმოვიღე, რომლითაც სწრაფად დავინამე როგორც თმა ისე ახლად ამწვანებული უღვაშები. რა თქმა უნდა, ხელსახოცსაც არ დავტოვებდი უყურადღებოდ, ესეც შევასველე, ტუჩურკაც კი შევცვარე, რადგანაც დორას საშინლად მოსწონდა სურნელებანი. საბოლოოდ უკანასკნელ მოდაზე თმა გადავივარცხნე, თუმცა არავითარი ზეთი არ მიხმარია. თან კი ჩემებურად მოვყევი ლამაზად დამღერებას: „ოდეს მეწვევა სევდა დამწველი“...

ოჰ, ვერ წარმოიდგენთ, რა რიგ უყვარდა ეს რომანსი დორას, წარმოიდგინეთ, იმანაც კი შეისწავლა და არა ერთხელ და ორჯელ დუეტი გვითქვამს.

კარში გამოსვლისას მეტი სიჩქარისგან სულ დამავიწყდა ყვავილები მეყიდნა. ეს მხოლოდ მაშინ მომაგონდა, როცა უკვე დერეფანში შეველ და სახატებულ ვამოსასხამი, ქუდი, და ჯოხი ჩამოვიკიდე.

დორა სასტუმროში არ დამიხვდა: სასადილოში გასულიყო. ამას იმითი მივხვდი, რომ იქიდან პოლონური ჰანგი შემომესმა ნაცნობი ხმისა.

„ის ეხლავე გამოფრინდება!“ ვფიქრობდი და თან ვატყობდი, რომ რაღაც არაჩვეულებრივმა მღელვარებამ მომიცვა.

ოთახის მოწყობილება ასე მიმზიდველად არასოდეს არ მჩვენებია. თითქოს თვითნული საგანი რაღაცა საიდუმლოს მიკარნახებდა. კედლის სურათები, ვენერას ბიუსტი, ოდნავ ამოწეული გაზის სანათი მწვანე აბაჟურით, რომელიც რაღაც მისტიურ სიტბოს სტოვებდა ისედაც სასიყვარულოდ განმზადებულს ოთახში, ამას დაუმატეთ ლამაზი სუფრით მოართული მაგიდა, რომელზედაც დორას თითქოს ვისიმე საპატივოდ ხილველობა მოემზადებინა; ყველა ერთობ რაღაცას ჩამჩურჩულებდა, რომლის გამოთქმა ასე რიგად მიძინელდებოდა.

„ჩემო ბედნიერებავ, ჩემო ასკეც გზის საიდუმ-

ლო ბედნიერებავ, — ვჩურჩულებდი ატოკებული გრძნობათა დელვით: შენ თვით განსაკუთრებული სიკეკლუცე ხარ, რომლისადმი ჩემი უმანკო/სიყვარული მხოლოდ ტრფიალების ღმერთმა თუ შეწყის, თორემ ამ ქვეყნად სხვა არვინ... დიახ, არავინ!“

ამ დროს გამახსენდა ჩვენი პირველი გაცნობა, დორას რეფერატი, ჩემი აღელვება და უდიერი, თითქმის თავხედური სიყვარულის განცხადება:

„არა, რა ბრიყვი ვიყავ, რომ ასე უეცრივ მივიტანე იერიში და სიყვარული განვუცხადე! ახი არ იქნებოდა, რომ ლაზათიანი სილა ეტკიცნა ჩემთვის?“

მაგრამ იმავე დროს თავი მევე გავიმართლე:

— „არა ასეთი ტეტური გამოსვლა უფრო ბუნებრივია, წფერლი, არავითარი ხელოვნური არა იყორა, ეს ქალებსაც მოსწონთ. ან და რაც საჭიროა ფილისტერთა ცერემონიებით სიყვარულის დაწყობა, რომელიც ჯვარის წერის უმაღვე მოსამსახურე დედაკაცის ქობის ბოლოში გადიცვლება!“

და შემდეგ ნაზად:

„არა, ჩემო ბედნიერებავ, მე ეს არა მსურს! მართალია, შენ არა ხარ ჩემი სიყრმის პირველი სიყვარული, მაგრამ უკანასკნელი კი იქმნები. შენ ჩემთვის გაუჩენიხარ ყოვლად შემძლებელ ღმერთს, ჩემთვის! ჩემთვის, იმიტომ რომ შენ უნდა განმიმტკიცო ცხოვრება, შენ უნდა მისცე ამ უშინაარსო ყოფნას ახალი აზრი, ახალი დანიშნულება, რომ ერთ-ერთის შეწირვით ჩვენ ნიადაგი მოვუმზადოთ ახალთაობას. მაშ, ეგრე, ეგრე, ჩემო საიდუმლო ბედნიერებავ, განმიახლე სიკოცხლის წყარო, რომელიც ახლად გადმოხეთქილ ნექტარისავით სდულს და ელის წინ გამოწვდილს ფიალას, რომ პირთამდე აავსო იგი .. დორა, ჩემო ბედნიერების დასაწყისო, დორა, ოჰ, დორა!..“

ხელები გავიწოდე, რიღაცის ლანდს წავწვდი; თითქოს გაქცეულ ბედნიერების დაქერა მსურვებოდეს. მაგრამ... ძირსვე ჩამომცვივდა...

ოჰ, რომ იცოდეთ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ვიწამე და ვერც თუ ვინმე წინააღმდეგში დამარწმუნებდა, ვითომც არ იყოს ბედნიერება. არა, ჩემი ნორჩი ფილოსოფიის შინაარსი იმას მიმტკიცებდა, რომ ბედნიერებას მხოლოდ სიყვარული შეადგენდა, თავისუფალი მოქმედება და საიდუმლოება... სიყვარულის საიდუმლოება!..

დორა, დორა!

წავიჩურჩულე ერთხელ კიდევ და ფიქრთა ტალღებს გადავერიე. თვალწინ წარმომიდგა ახალი

ბედნიერების სარბიელი. მე ჩემ განცდილ გრძობას, გრძობას, სადაც არავითარი ხელოვნური რამ არ შეიძლებაოდა გეგულისხმით, გადმოვიღებდი ქალაქ-დზე რომანის სახით და მთელს ქვეყანას დავუმტკიცებდი, რომ სკდებიან, თუ ამტკიცებენ, ვითომც მთელი მწერლობა მხოლოდ ავადმყოფ ფანტაზიის ნაყოფი იყოს! არა, ჩემი სანიმუშო რომანი, „სიყვარულის საიდუმლოება“, ამის შხგავს არას დაანახვებდა და ცხადსა ჰყოფდა თავის სიწრფელეს, სინამდვილეს, სადაც არც ერთი ყალბი ადგილი არ იქნებოდა გარეული, როგორც ეს ასე ხშირად გვხვდება ლეგიონ მწერალთა ნაწარმოებში, რომელთაც წერვა პროფესიად გარდაუქმნიათ და უნდათ თუ არ უნდათ ყურში კალამ გარკობილნი სწერენ შინ, გარედ, თვით სარდაფშიაც კი, როდესაც კახური ღვინით თუ შამპანიურით გონება გაბრუებულნი როსკიპთა ვნების ქარიშხალს მისდევენ ბნელს ჯურღმულებში...

— არა, ჩემო დორა, მე ასეთ მწერალთა ჯგუფს, არ ვეკუთვნი: მე უმანკო ვარ, სრული და ჩემი რომანიც გვირგვინი იქნება შენის აპოთეოზისა: სიმშვენიერე, რომელიც შენ მე დამანახვე და გამაცანი, ჩემთვის ის დაზღვეული წერილია, რომელიც მიჯნურის გულს წინდაწინვე იმონებს, ვიდრე მას გახსნიან. ჩვენ მას გავფურჩქნით მთელი თვისი სასწაულ-მოქმედებით, საშიშროებით, ზეაღმაფრენი თვისებით, როდესაც ტრფიალების ფრთები პირველად ჩვენ ყრმის შუბლზე შემოგვიქროლებენ და ნაზი შხუილით შეგვასმენენ ჰიმნს უცნაურის მუსიკისას, რომელიც ისეთივე ნაზი მელოდით იქნება მოქსოვილი, როგორც ღამის სიმღერა. ან და კიდევ როგორც მერცხალთა სუბუქი ფრთებით გავლებული გამმა ლაყვარდის უბეზე. დაე, ის ჰიმნი სუნთქავდეს ვაზაფხულის სურნელოვანებით, რომ მით მოხიბლული კაცობრიობა მის შემდგომად სიცოცხლეს სიცოცხლედ არა ჰგრძობდეს!..

და... ვინ იცის, კიდევ რას არა ჰბოდავდა ჩემი უბრყვილო ფანტაზია, რომელიც ჩემი ცხოვრების წინმსრბოლ ვარსკვლავად მინათებდა.

მაგრამ თქვენ გაიღიმეთ...  
ჰმ, იცინეთ, იცინეთ: განა არ იცით — თვით უგნურსაც კი თავისი საკუთარი ფანტაზია აქვს?

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება).

# პიტიკა და კრიტიკა

ქართული

იყო დრო, როდესაც საუცხოველესი ლიტერატურა გვქონდა.

მაგრამ მაშინ არა გვქონდა კრიტიკა, ეს აუცილებელი დარგი ლიტერატურისა.

ბუმბერაზნი ჩვენის ლიტერატურისა ისე ჩავიდნენ საფლავს, რომ თავის თხზულებათა შესახებ ბევრი არა წაუკითხავთ რა.

ეხლა სულ სხვაა.

უკანასკნელი ხანების ქართული ლიტერატურა ერთ ჩირადაც არა ღირს. ბუმბერაზთა ნაცვლიად ხელში შეგვრჩა ფუქსავატი სიტყვა და უფერული სურათები ახლად მოვლენილ მწერლებისა.

სამაგიეროდ გაიზარდა კრიტიკა.

კრიტიკა, როგორც მოდარაჯე თვალი ზედამხედველისა, ფებდაფებ მისდევს ფარატინს ყოველ სიტყვისას და ჩვენი ლიტერატურა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადადის.

მაშინ კრიტიკის სრული უქონლობა.

ეხლა კრიტიკის ნამეტანობა.

ეს „ნამეტანიზმი“ ბევრს არას უქადის ჩვენს ლიტერატურას. უმთავრეს მის დამახასიათებელ თვისებას ის შეადგენს, რომ იგი ღვიძლი შვილია თანამედროვე უნიათო ლიტერატურისა. როგორც თანამედროვე ლიტერატურაა „ულონო ყუათის“ პატრონი, ეს ახლად მოვლენილი კრიტიკაც უშნო, ძალას და ცოდნას მოკლებულია, დილეტანტიზმით სავსეა.

მას არ ძალუძს რიდე ახადოს საუკეთესო ნაწარმოებთ, ახადოს ის კრესთაბმელი, რომლის იქით სდგას საკურთხეველი ჰეშმარიტებისა და მშვენიერებისა. ბარათაშვილს, ჰავჭავაძეს, წერეთელს ისე გაურბის, როგორც ბიბლიური აბესალონი მრისხანე მტერს და თავის გრძელის თმებით ახლად ამწვანებულ ტოტებში იბლანდება.

იგი მოკლებულია იმ სათანადო ექსტაზს, ურომლისოდ შეუძლებელია დიდ ტაძარში ლოცვა. ამიტომ იგი ლოცულობს პირველ შეხვედრილ პატარა ნიშთან, გაუქმებულ სამლოცველოში, სადაც ღმერთი იმდენად დაბლად გეჩვენება, რამდენად დაბალია თაღები ეკლესიისა, მოკლეა — სვეტები საყდრისა.

ამიტომ მას უმთავრესად პატარა მწერლებთან აქვს საქმე და რაც უფრო პატარა მწერლებთან და შემოქმედების პატარა ნაყოფთან აქვს საქმე — მით

უფრო ბევრს ყვირის, მით უფრო ხმა მაღლა ლაპარაკობს.

და ეს ბუნებრივიც არის.

ვინ დაიწყებს ეხლა ქუჩაში ყვირილს, რომ შექსპირი დიდებული მწერალია. ეს მხოლოდ სიცილს გამოიწვევდა. მაგრამ საზოგადოებაში განამტკიცოს აზრი, რომ ესა და ეს ახალგაზრდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის სულის ჩამდგმელია. —

ამ აზრის განმტკიცება სულ სხვა უნარს მოითხოვს და აქ ყვირილი მართლა საჭიროა.

არასოდეს ჩვენს ლიტერატურას იმდენი მიმართულება არა ჰქონია, როგორც ეხლა. არასოდეს არ გყვოლია იმდენი ნორჩი ძალა და არასოდეს ჩვენი მწერლები ასე ნაყოფიერნი არა ყოფილან, მაგრამ შეგვიძლიან განა თამამად ვსთქვათ, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენ შევიძინეთ ახალი ნაწარმოები, რომელიც გვერდში ამოუდგება თავის ლიტერატურულ ღირსებით ქავჭავაძის — განდგეილს, წერეთლის ბაში-აჩულს, ერისთავის კომედიებს, ან ყაზბეგის მოთხრობებს? ჩვენი ახალგაზრდა ვაი-კრიტიკოსები კი რა ანალიზებს არ ახდენენ ახალგაზრდა პოეტთა ნაწარმოებისას?

რა არ აღმოაჩინეს შიგ?

ნაცვლად ქეშმარიტ მწუხარების მგოსნებისა ჩვენ გვყვავან ეხლა პოეტები წუთიერ ვარამისა:

ერთი კიკნა დარდით.

ორგანიზმები დაბადებითვე აუადმყოფნი, რომლებიც ყველას არწმუნებენ, რომ მსოფლიომ „შეჰყარა“ მათ ეს სენი.

მწერლები, რომლებიც პირდაპირ თითიდან სწოვენ აზრს და ღვთაებრივ ცეცხლის მაგიერ აბედსა სწვავენ.

პოეტები — ამომავალის მზისა და ორლობეში გაჩხირულ მთვარისა.

მგოსნები ქალწულის ოქროს ფეხისა — სწორედ ისე, როგორც პატარა რესტორანები გერმანიაში:

რესტორანი — Zum goldenen straus! — ოქროს სირაქლემასი და იმის ნაცვლად რომ ყველა ამან მწუხარე აზრები დაბადოს ქართულ მხედვრულ კრიტიკაში, ჩვენ გვესმის თავშეუდებელი ალტაცება, გამოწვეული არა იმდენად ახლის სურათებით, რამდენადაც ახლის სიტყვებით.

ჩვენ აღვიზარდებით ბარათაშვილის, ქავჭავაძის და წერეთლის თხზულებაზედ, მათ სტილზედ, მათ სიტყვებზედ და რაც უნდა მდიდარი ყოფილიყო

მათი ნაწარმოები სტილით და სურათებით, ჩვენ მაინც ვახერხებდით მათ გაგებას ულექსიკონოდ.

ეხლა კი შეუძლებელია ულექსიკონოთ ახალგაზრდა მწერალთა კითხვა.

სიხარულით

გ. ყიფშიძე ერთს თავის წერილში სიხარულით აღნიშნავს და ბედნიერად სთვლის თავის თავს, რომ ილია ქავჭავაძემ ჩემს თვალწინ შექმნა ახალი ქართული სიტყვა „თვალთახედვის ისარი“ და ქართული „აკადემიის“ უკანასკნელ სიტყვათა ცეს მი-აჩნია, მაგრამ განა ჩვენ ყველა გრიგოლ ყიფშიძეები არა ვართ და ბედნიერებიც, რომ ყოველ ახალგაზრდა მწერალს ახალი სიტყვა მოაქვს, ახალი ცნება...

დარწმუნებული ვარ ამ ცოტა ხანში ჩვენ ასეთი საუბარის მოწმენიც გავხდებით:

— მოწყალეო ხელმწიფევე, თქვენ ეს ეს არის ერთი სიტყვა იხმარეთ. თანახმად ავტორთა უფლებების დებულებისა გთხოვთ მაგ სიტყვისთვის, რომელიც ჩემგან არის შექმნილი — ერთ შაურს ჩამოხვიდეთ.

და ეს ხუმრობა არ იქმნება. თანამედროვე ქართული ენა ქიმიის ელემენტებს მოგვაგონებს, სადაც ყველა მეცნიერს მის მიერ ნაპოვნი ელემენტი აქვს.

ელემენტი ამისა და ამისა.

სიტყვა ამისა და ამისა.

აი როგორ ვილაპარაკებთ ახლო მომავალში. ახალგაზრდათა ლიტერატურას მოჰყვა ახალგაზრდათა კრიტიკა, მაგრამ ეს კრიტიკა თავის ანალიზში განა გვითითებს მაზედ, თუ რაში მდგომარეობს ძალა ამ ახალგაზრდობისა და მასთან მომავალიც ჩვენი ლიტერატურისა?

ჩვენი ლიტერატურა, არამც თუ კლასიკური, არამედ ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნისა ჩვენი სულიერ ჯანსაღობის მაჩვენებელი იყო. თვით ისეთი სასოწარკვეთილი მწერალიც კი, როგორც ბარათაშვილი იყო, შეუპოვრობას და თავგანწირულებას ქადაგებდა და დაგვიტოვა „მერანი“, რომლითაც გვიანდროდა შეურიგებლობა ბედთან. ვაჟაფშაველა, მგოსანი მთების გმირებისა, ბარისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი ელექსირი იყო და აჩრდილნი მის მეომართა მარტო ხევსურთა და ფშაველთა შვილნი აღარ არიან. როგორც სული, ისე დასტრიალებენ მთელ საქართველოს — მათი ცხოვრება საუკეთესო ფერად იქცა მხატვარ გაბაშვილისთვის და მომავალშიაც ფერად დარჩება ყველა ქეშმარიტ მხატვარისათვის.

არავის არ მოუბერია იმდენი სიციცხლის და-  
ლა, როგორც ალექსანდრე ყაზბეგს, ილია ჭავჭა-  
ვაძე და აკაკი წერეთელი ხომ ნამდვილი მებრძოლ-  
ნი იყვნენ ახალის ცხოვრებისა.

— გაგვითხარონ სამარე, — ამბობდნენ ისინი,  
და ჩვენ აღვსდგებით „მესამესა დღესა“.

აი რა იყო მათი რწმენა.

ერთის სიტყვით, ჯანსაღი სული — აი რა გვი-  
ანდერძეს მათ და აი რითი უნდა ყოფილიყო მორ-  
წყული მწვანე ჩვენის ლიტერატურისა, მაგრამ  
ახალგაზრდათა ლიტერატურაში ჩვენ ვერ ვხედავთ  
სწორედ ამას. ეს კი პირველი თვისება უნდა იყოს  
ჩვენის ლიტერატორისთვის. საქმე ის კი არ არის  
რომ ჩვენ ბებერი, ძალა-გამოცლილი ერი ვართ.  
ჩვენი პოლიტიკური ბედი ისე მოეწყო, რომ ხელ-  
მეორედ უნდა დავიბადოთ.

და განა ასეთი მახარობელი უნდა ჰყვანდნენ  
ჩვენ ახლად დაბადებას. სად არის იდეალი, სად  
არის ძალა?

ლამაზ სიტყვას მნიშვნელობა თავის დღეში  
არა ჰქონია.

მნიშვნელობა მუდამ ლამაზ აზრსა ჰქონდა და  
ასე უაზრო კი ქართული ლიტერატურა არასოდეს  
არა ყოფილა.

და როდესაც ასეთ სურათს ვხედავთ, განა  
უფრო უკეთესი არ იქმნება ჩვენ თავს შევეკითხოთ:  
აყვავების ხანა იწყობა, თუ ოდესღაც აყვავებული  
ხანა სრულის გადაგვარებით თავდება.

მართალია, ჩვენი ახალგაზრდობა ასე არას  
დროს არა, ყოფილა გატაცებული ლიტერატურით  
და არას დროს არ გვყოლია ასე მრავლად ახალ-  
გაზრდა მწერლები, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენში  
ბევრსა აქვს სურვილი წერისა და ზოგი მათგანი  
საშუალო ნიჭსაც იჩენს, ან არაფრის მაჩვენებელია,  
ან სულ წინააღმდეგს უნდა გვეუბნებოდეს.

ვაზზედ ამბობენ, როდესაც დაავადმყოფდება,  
სწორედ იმ წელიწადს იძლევა დიდ მოსავალსაო.

რალა უნდა ვქნათ მაშინ, თუ სიმრავლე „მო-  
სავლისა“ სწორედ ამ ავადმყოფობით არის გამო-  
წვეული?

აი რაზედ უნდა იფიქროს კრიტიკამ, მაგრამ  
არა ახალგაზრდათა კრიტიკამ, რომელიც იმავ  
ავადმყოფობით არის შეპყრობილი, არამედ საღმა  
კრიტიკამ. ჩვენ უნდა ვიხსნათ ბედი ახალგაზრდა  
მწერლებისა ამ ვაი-კრიტიკოსებისაგან, რადგან რაც  
უნდა დაბალი აზრისა ვიყვეთ ჩვენ ახალგაზრდათა

შემოქმედებაზედ, მაინც მათი წრიდან უნდა გამო-  
ვიდნენ ჩვენი მომავალი მწერლები.

ფარსმან-ფარუხი.  
თარგმანი  
ზიზ-ლიქოშვილი

# საუბარი შევიცარიაზედ

(წერია ზარგველი)

შვეიცარიაში დიდხანს მომიხდა ყოფნა და ახ-  
ლო გავეცანი შვეიცარიელთა ცხოვრებას. ისინი  
მაინტერესებდნენ არა მარტო იმიტომ, რომ ახალი  
და უცნობი იყო ჩემთვის ყველაფერი იქაური, არა-  
მედ უფრო იმ მგზავსებით, რომელიც, ჩემის აზრით,  
არსებობს ჩვენსა და იმათ სოციალურ-ეკონომიურ  
მდგომარეობაში.

შვეიცარია, ყველიმ იცის, მთა-გორიანი ქვე-  
ყანაა და ძალიანა ჰგავს ჩვენს კავკასიას: იგივე მა-  
ლალი მთები, იგივე სილამაზე ბუნებისა, იგივე მშვე-  
ნიერი გარდასახედები მთის მწვერვალიდან. გვაკლია  
მხოლოდ შვეიცარიის მარგალიტებით გაბნეული  
ტბები, რომელთა სილამაზე ათასობით იზიდავს მოგ-  
ზაურებს. და ვისაც უნახავს შვეიცარია, ყველას  
უყვარს იგი მისი მიმზიდველი სილამაზისა და კე-  
თილ-მოწყობილებისათვის.

აღტაცებული შვეიცარიის სილამაზით, მე ყო-  
ველთვის ვიგონებდი ჩემი ძვირფასი სამშობლოს კი-  
დეებს და ვადარებდი მას. ძნელია სათქმელად რო-  
მელი უკეთესია.

შვეიცარიაში ყველგან ემჩნევა მოსიყვარულე  
ხელი პატრონისა, როგორც ბარში, ისე მთის მწვე-  
რვალეებზედაც. ჩვენში, მართალია, არაა ესა, მაგრამ  
ყველგან ბუნება თავისუფალი და თვალწარმტაცია.

მაგრამ ბუნების მგზავსებთან — რა განსხვავებაა  
მცხოვრებთა შორის! შვეიცარიელებს უყვართ სი-  
ლამაზე თავისი სამშობლოსი, უყვართ მხურვალედ,  
**შეგნებულად.**

ისინი ეცნობიან თავის ქვეყანას, სწავლობენ  
ყოველ მის კუთხეს. ბავშვობიდანვე ეჩვევიან სი-  
არულს და მოგზაურობა მათთვის არამცთუ აუცილე  
ბელ საგნად, პირდაპირ კულტად არის გადაქცეუ-  
ლი; ყოველი შემთხვევით სარგებლობენ, რომ ნა-  
ხონ ესა თუ ის კუთხე თავისი სამშობლოსი.

14.—15 წლიდან იწყობენ ისინი სამგზავრო  
პროგრამის შედგენას და მარშრუტების შემუშა-

ვებას. გულს უხარიან, როცა ხედავ გულდაწამოკიდებულს ხანში შესულ მამას, რომელიც თავის უმაწვილ შვილთან ერთად მიაბიჯებს გზაზედ, მთების სკენ. ყველა ეცნობა თავის ქვეყანას და არ დარჩენიათ არც ერთი პაწია კუთხეც, რომ ფოტოგრაფიულად არ იყოს აღბეჭდილი, არ არის არც ერთი ოჯახი, რომ მთელი კოლექციები არა ჰქონდეთ ამ ფოტოგრაფიებისა. ბავშვები პატარაობიდანვე ეცნობიან ამ სურათებით თავის ქვეყანას.

ჩვენში? განა გვეტყობა რაშიმე სურვილი სამშობლოს გაცნობისა? ჩვენდა სასირცხვილოდ, ბევრი უკეთ ვიცნობთ ევროპის სხვა და სხვა ქვეყანას, ვიდრე საკუთარს მხარეს. ამას კი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შვეიცარიელები ყოველწლივ დადიან სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში, პირადათ ეცნობიან იქაურ ზნე-ჩვეულებას, იქაურ საჭიროებათ, იგებენ სად რა კეთდება, ვინ რას აწარმოებს და შემდეგში იციან თავისი საკუთარი ძალღონე სად და რაში გამოიყენონ. ეს ერთგვარი საფეხურია მათი პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადებისა; და დიდი ყურადღების ღირსი მოვლენაა. მუშაობის მსურველმა ხშირად ჩვენში არ იცის სად აწარმოებენ ამა თუ იმ დარგს მეურნეობისას, სად შეიძლება გამოიყენოს იგი. ამბობენ, რომ კულტურული ზრდა განიზომება საპნის ხმარების რაოდენობითაო. ამას შეიძლება დაემატოს, რომ რაოდენობა პირადი ცნობისა სამშობლოს კუთხეებისა, მის საჭიროებათა და მისწრაფებათა, მაჩვენებელია იმისა, თუ რამდენად მომზადებულია ადამიანი სამოქმედოთ საზოგადო ასპარეზზედ და უმაწვილკაცობის ვალია, გაეცნოს ქვეყანას ხშირი მოგზაურობით.—დეე, ეს იყოს პირველი საფეხური „საზოგადოებრივ სიმწიფის“ მოპოებაში.

ახლო გაეცანით ჩვენი სამშობლოს კიდევებს, ადგილობრივ შეისწავლეთ მისი მოთხოვნილებანი, ტკივილები მისი შვება-სიხარული და ღირსებანი და მაშინ თქვენს მომავალ მოქმედებაში მეტი იქნება მიზან-შეწონილი, სოლიდარული მუშაობა, ვიდრე მამების მოქმედებაში.

ისარგებლეთ ყოველი შემთხვევით, გაეცნოთ ამა თუ იმ კუთხეს, გადაიღოთ ფოტოგრაფიულადაც, რომ ამით სხვებსაც გააცნოთ და სურვილი აღუძრათ. მთელი შვეიცარია, ყველა მისი ნაშთები და ღირს-შესანიშნავი ადგილები აღბეჭდილია ფოტოგრაფიაზედ. მარტო სამშობლო ქვეყანის მისი სილამაზისა, და ბუნებრივი სიმდიდრის შესწავლამ, შეაგნებინა შვეიცარიელს, თუ რაშია მათი ძალა, მა-

თი საფუძველი და მიზანი და ნება მისცა გამოეყენებინა თავისი ძალნი, გარდაექმნა ოდესღაც ღარიბი მხარე, მთელი ქვეყნის საუკეთესო კუთხედ კავკასიასაც შეუძლიან მომავალში გადაიქცეს ასეთ ძვირფას ადგილად. მდიდარი მინერალური წყლებით, იგი მიიზიდავს უცხოელებს, მგზავრებს და ამით ხელს შეუწყობს ადგილობრივ წარმოების გაფართოებას, ბაზარს მოუპოვებს ადგილობრივ საქონელს. ყველა ეს შესაძლებელია მარტო მაშინ, როცა ჩვენ თვითონ გვეცოდინება ჩვენი მხარის სილამაზე და სიმდიდრე და გავაცნობთ მას სხვა ერთაც. ეს შეიძლება ფოტოგრაფიის წყალობით, ბუნებრივ სილამაზის აღწერით, ადგილობრივ ცხოვრების პირობათა შესწავლით და გამოქვეყნებით. აგრეთვე ღირს-შესანიშნავ ადგილების ჩვენებით და დაწვრილებითი ცნობებით, თუ როგორ მიაღწიოს ადამიანმა ამ ადგილებს.

ყველაფერი ეს ითხოვს ცოტად თუ ბევრად მუდმივს და რიგზედ მოწყობილს მუშაობას, მაგრამ უსახსრობისა გამო ეს ჯერ-ჯერობით შეუძლიან თავს იღვას ადგილობრივმა ინტელიგენციამ, ყველამ თავის რაიონში; ჩასულმა სტუდენტობამ, აგარაკად გასულმა ხალხმა და სხვა.

ასეთი გაფანტული მუშაობაც მოამზადებს ნიადავს. ყველა ზემოდ ნათქვამი ერთი უახლოესი და უადვილესი მიზანია ჩვენთვის—ე.ი. გაცნობა პირად ჩვენთვის და სხვებისაც ჩვენი სამშობლოსი. რასაკვირველია, ეს პირველი და პაწია ნაბიჯი იქნება ჩვენი, პროგრესის გზაზედ, მაგრამ ნაყოფი დიდი ექნება.

ლ. დიასამიძე.

## ქ. თელავი

10-ს თებერვალს მოხდა წლიური კრება თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა. უშველებელ სკოლის შენობაში ხალხის ტევა არ იყო. კრებას დაესწრო 400 წევრამდე და მრავალი გარეშე პირი. ამ ახლო წარსულში თელავში მრავალი სხვა და სხვა კასები ყოფილა, რომელთაც ვერაფერი სახელი დაუმსახურებიათ ხალხის თვალში. ხალხს ეს კასები მიაჩნდა მათ საცარცვავ საშუალებად, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ახლად დაარსებულ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას საზოგადოება

ალმაცერად შეხედავდა და მოერიდებოდა მასთან საქმის დაჭერას; მაგრამ ამ ამხანაგობის ექვსი თვის მოქმედობამ და საქმის მწარმოებელთა უანგარო ნაკოფიერმა მუშაობამ საზოგადოებას აზრი შეაცვლევინა და დიდი ნდობა მოუპოვა ხელოსანთა და გლეხ-კაცობაში. და აი ამიტომაც 10-ს თებერვალს, წლიურ კრებას მოაწყდა ამოდენა ხალხი ახალ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გასაცნობად და მის დასაფასებლად. კრების თავჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ესტატე პაატაშვილი. განსახილველი იყო წარსული 1912 წლის ანგარიში და მომავალ 1913 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. გამგეობის თავჯდომარის დ. ლუკაშვილის მიერ წაკითხულ იქმნა მოხსენება გამგეობისა:

ამხანაგობა დაარსებულა 1-ს თიბათვეს 1912 წ. 87 დამფუძნებულ წევრისაგან, რომელთაც ჰქონიათ კრედიტი გახსნილი—7340 მან.

ხოლო საანგარიშო წლის გასულს, ესე იგი 6 თვის შემდეგ. ამხანაგობას ჰყოლია — 408 წევრი გახსნილი კრედიტით — —31,013 მან.

ძირითად თანხად ჰქონია გრძელვადიანი 3,000, მოცემული სახელმწიფო ბანკიდან.

მოკლე ვადიანი . . . . . 5,000  
 შესანახად ჰქონია მიბარებული . . . 1202 მ.  
 საწევრო გადასახადი . . . . . 800 მ.  
 ექვსი თვის განმავლობაში მოგება ჰქონია ამხანაგობას . . . . . 839 მ. 86 კ.

აუცილებელი ხარჯი მოსვლია:

საქმის მწარმოებელს — — — 65 მ.  
 წიგნები, ქალაღდები და სხვა 86 მ.  
 სახლის ქირა — — — — 127 მ.

სარგებელი ბანკიდან ნასესხებ ფულისა, მობარებულ ფულისა და ვადაზედ აღრე შემოტანილ ფულის უკან დაბრუნებული  $\frac{0}{100}$   $\frac{0}{100}$  . 254 მ.

სულ ხარჯი 532 მ. 67 კ.

ამხანაგობას ჰქონია შეძენილი ინვენტარი—ცეცხლისაგან უზრუნველყოფელი ყუთი, მაგიდები და სხვა. 259 მ. გამგეობამ ამ რიგად გაანაწილა სუფთა მოგება 307 მ. 19 კ.:

57 მ. 19 კ. გადიდო შეძენილ ინვენტარის ხარჯის დასაფარავად.

40% ძირითად თანხის გასაძლიერებლად— ე. ი. 100 მ.

10% სათადარიგო თანხისთვის 25 მ.

საშუამავლო საწარმოვო თანხად. (შაბიამან-გოგირდის ან სამეურნეო იარაღის ყიდვა წევ-

რებისათვის 100 მ. და საკუთარ შენობის ასაგებლად 25 მ.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ალ. ციკაშვილმა წაიკითხა მოხსენება საბჭოსი გამგეობის მოქმედების და საერთოდ ამხანაგობაში საქმის მსვლელობის შესახებ. საბჭო ხაზს უსვამდა წევრთა შეგნებულ ქცევას, რომელთაც, სწორე ალლო აართვეს ახლად დაარსებულ ამხანაგობას და განსაკუთრებით კი აღნიშნა გამგეობის მიერ სამაგალითო საქმის წარმოება, რაც სრული თავდებია ნორჩ ამხანაგობის ზრდა გაფართოებისა.

კრებამ ერთხმად დაამტკიცა წარსული წლის ანგარიში. შემდეგ კრება შეუდგა მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვას. მომავალი წლის მოგებიდან, რომელიც ნავარაუდევია—2,000 მან. გასწიოს შემდეგი ხარჯი:

საქმის მწარმოებელს თვეში —	30 მ.
მის თანაშემწეს თვეში — — —	10 მ.
სულ წელიწადში —	480 მ.
საკანცელიარო. . . . .	120 „
სახლის ქირა, გათბობა, განათება	200 „
მსახურს . . . . .	50 „
სულ	850 მ.

კრებამ დაადგინა მისცეს ჯილდოდ 15% მოგებიდან გამგეობას და ხაზინადარს, ხოლო მათ ეს ჯილდო სავსებით შესწირეს ლარჩბ შეგირდთ და მომავალშიც აღუთქვეს უსასყიდლოდ მუშაობა. შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა სსვა და სხვა საკითხებზედ და დაადგინა:

1. აღძრას შუამდგომლობა რათა მოკლე ვადიანი სესხი გადიდებულ იქმნას—20,000 მან-ე.
2. გამოითხოვოს გრძელ-ვადიანი სესხი 5,000 მანეთი. 3. გამოითხოვოს საშუამავლო საწარმოვო თანხა—2,000 მან.
4. გამოითხოვოს სპეციალური თანხა შესანახად; მობარებულ ფულის პირველ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად—2,000 მან.
5. გაუდიდოს წევრთ სესხი 15 თუმნამდე.
6. შემოიერთოს სოფ. შალაური, ვარდისუბანი და ნასომხარი, თანახმად მათი თხოვნისა.

7. მიიღოს ზომები, რათა შესანახი ფული გაადიდოს. 8. გაადიდოს გამგეობის წევრთა რიცხვი 12-მდე. 9. აირჩიოს მომავალ კრედიტის კავშირში წარმოადგენელი (არჩეულ იქმნა დ. ლუკაშვილი).

შემდეგ მოხდა არჩევანი გამგეობის და საბჭოს წევრთა. არჩეულ იქმნენ: საბჭოს თავმჯდომარედ,

ნაცვლად ალ. ციციშვილი, რომელმაც სამსახურის გამო თავი დაანება თელავს, თ. ზაქარია ჭავჭავაძე. არჩეულ იქმნა ერთი ახალი წევრი საბჭოსი — ან. ყაზახაშვილი. გამგეობაში თავმჯდომარედ, რომელსაც წელს კენჭით უნდა თავი დაენებებინა თათანამდებობისთვის — ერთხმად არჩეულ იქმნა ისევ დ. ლუკაშვილი. ახალი წევრები არჩეულ იქმნენ: ორკოდაშვილი, შიუკაშვილი, გოგიაშვილი, აივაზოვი, კიმოთაშვილი, ხომიზურაშვილი და რაზმაძე. დასასრულ კრებამ მადლობა გადაუხადა გამგეობას და საბჭოს მათ უანგარო — ნაყოფიერ მუშაობისთვის, რომელთაც პირნათლად შეასრულეს ნაკისრი მოვალეობა და ახალ-ფეხადგმულ, ნორჩს ამხანაგობას საერთო ნდობა მოუპოვეს წარსულ მაგალითებით დაშინებულ საზოგადოების თვალში.

**ნიჩბისელი**



**თეატრი და ხელოვნება**

**ოტელლო ქართულ სცენაზე.**

თვად-წარმტაცი ტრაგედია, სადაც ეჭვიანობის სწრაფი ვეშში „მწვანე თვალეთ“ გამოიყურება, ერთი იმ ძველთაგანია მსოფლიო ლიტერატურის დასამშვენებლად, რომლის გამოქანდაკება მხოლოდ ჰინიოს შექსპირის საკვეთად შეეძლო. ეს დაკარგული კომედა, რომელიც ვარსკვლავთა კანონიერს მსვლელობას მისწვდა, ცეცხლის ზოდს ავლებს და ადასტურებს, რომ ქაღწულის გული თავისუფალი უნდა იყოს, რომ ამისთვის არავითარი კანონი არ სწერია და რომ ეს უკანონო კანონიერება ყოველ კანონზე უადრესია. დიდებულმა დრამატურგმა ამ ტრაგედიაში განკებ :ღჭურვა იაკო (ბ-ნი კ. მესხი) ფსიხოლოგიის საცდარის იარაღით, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო ხალხად დაენახებინა ვნებათა განწყობილება, ეჭვთა ტანჯვანი, რომელნიც ხელინელ მხამავენ პატიოსანს, მაგრამ გულუბრევიდო მავრს ოტელლოს (ვ. გუნია). მაგრამ ხელთვნება ამ ტრაგედიის იმიტომ უფრო ადწვეს თავის უადრესობას, რომ აქ **სულის სამეფოს აქოთება**, ოტელოს ეჭვიანობის ქარიშხალი, უკანა პლანზე უკებენ გარეგან მომენტებს, რომელზედაც აშენებულია თვითონ დრამა და გორც მაკ., იაკოს არადაშიანური ხასიათი და შავბუთითი ხელსახოცი, რომელნიც ადნავც ვერ სწრდილავენ სულაერ კატასტროფის აუცილებლობას. შექსპირმა მოგ-

ვცა ის, რასაც ეწოდება „ოქროს და მავი სხვიით გაბრწყინებული სდაზარი.“ მავრის სახით მოვლულია მავი ღრუბელი ერთი მხრით, მხოლოდ შეუძლებელია მავბრწყინებული ხასვეარ მთაკრე აი ის ვეუთადეუთე კრამლითაც დახატულია კეკლეუცი სურათი! ვნების ქართადუებელი მავრი და ხარხრი ვენციელი გოგონა ვერენიკეს ოქროს ნაწნავებით, აი ის კონტრასტი, რომელნიც შეუდლების პლატფორმას სრულებით ადვილად ვუმოულობენ და პირველ და უკანასკელად ცხადს ჰყოფენ, თუ რა მიუწდამელია ცნება მშვენიერებისა. თუ რა რთული და გამორეკვეკელია ცნება სიუვარულისა, რომელთა სიკეკლეუცე მხოლოდ იმიტომ არის სიკეკლეუცე, რომ ვერც ერთი თეორია, ვერც ერთი საზომი ივილოსოფიამეცნიერებისა ვერ მიუღკება. რომ უფრო თვალსაჩინოყოფილიყო კონტრასტი, შექსპირმა ოტელლო წარმოგვიდგინა მეომრად, დეზდემონა (ქ-ნი ქიქციის ასული) ნაზ არსებად, რომელიც ოჯახში დაფუსფუსებისა ასე რომ მას მოცალეობა არც კი ჰქანდა, რომ ოტელლოს ამბებისათვის ბოლომდინ უური ეკლო ხოლმე. მაგრამ ტრაგედიის სიტურეთის მარგალიტიც სწორედ ამ უკიდურესობათა მიმხიდველობაში იმალება. არსად მთელს მსოფლიო ლიტერატურაში ვნების სარბიელზე თქვენ ვერ იპოვით ასეთს ერთ ურთის მოწინააღმდეგე მხარეთ, რომელთა ძლიერი შეერთება ასეთის გატაცებით მომხდარიყო. ეს სწრდილეთის ფიჭვნარის სეკდანი საიდუმლო მოთქმა კი არ არის, რომელსაცა შერს სამხრეთის სხივებით გათბარ ბზის ხის ფოთლების საამური შრიალი, არამედ ველურ ინსტინქტის უგნური გატაცება, სტიქიური ვნების ქარიშხლის აფრთხა აშლად, რომელიც თვით სიკვდილზე უძლიერე'ია და ოდნავაც ფერა არ ეცვლება, თუნდაც მის წინ სიკვდილი იდგეს. აი, რატომ არის, რომ ბრახნციო (ბ-ნი გედევანოვა, დეზდემონას მამა, ამოღ სცდილობს შვილის გატაცება ახსნას ოტელოს ჯადოსნობით, მაშინ როდესაც შეკვარბულთან დამოკიდებულება ბუნებრივი იყო, რომ აქ თვით ბუნებების ჯადოქრობა იყო დამნაშავე და შეტვი არაფერი! დეზდემონა ოტელლოს მათხრობებში ვხედავდა რადცა მშვენიერს, რომლის სახელწოდებაც არ იცოდა, მაგრამ ჯადოსნურ ძალით კი თავისკენ იზიდავდა. ოტელლოს თვითყული სიტყვა ნამდვილ მამაკაცის სიტყვაა, მომხაბვლედი ზღაპრია გმირის თავ-გადასავადის შესახებ, ქვეყნის ფენტასმაგორია, რომლის სახება შირისპირ თვით მან იხილა და აი, მამაკაცის ასეთს ტანჯვათათვის, მის მხედრულ სულის დასავილდოვებლად დეზდემონა ციურ დედოფლად მოქმეებს კიბრლის კუნძულზე და სწორუბვარ კიბრიდის ზღაპრად გარდაქმნიან თავიანთ ხანმოკლე ცხოვრებას. დეზდემონა მის სხვისა მსჭერეტს

თვით მის სულში, არა შავად შემურულს, რომელსაც ვეკლავ ჰხედავდა, არამედ მას წინ უდგებოდა ის წმინდა და კეთილ-შობილ ვაჟკაცის სახე. რომელიც მას მოეჩვენებოდა ტრფიალების ფრთების ქვეშ. დეზდემონა მასში აღმოაჩინა სულ სხვა, მიუწოდებელს მშვენიერებას, და მავრის ვნებათა ქარიშხალს ფეხ და ფეხ მისდევს შმაგი ცეკვით, მაშინ როდესაც სასომიხდალი მისი მამა მის წუკვლაში ჰქვავს სულს.

აი ეს უცნაურ ფერადებით მოხატული ტრაგედია დაიდგა გასულ კვირას, 10 მარტს ქართულ არტიტოს ახალი ამხანაგობისგან. სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, რომ ტრაგედია არა თუ განსახიერებდა, არამედ ოტელლას აზრდისადაც ხეირიანად ვერ გვიდგენდა.

ოტელლას დადგმაში ტენიკის სიკოტელის თან მისდევდა ბიესის თვალსაჩინო შემოკლება, ამასაც შეურიგდებოდა ადამიანი, რომ მისხიობთ მისხიობობა შესტუობოდათ. ცენტრალური ფიგურა **ოტელლო** (ვ. გუნიას) უაყელ ღონეს ჰხმარობდა, რომ მთელი თავის ძალ-ღონე გამოეყენებინა. მაგრამ მაინც ვერ აღწევდა საწადელს. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ ადგილზე, როდესაც ოტელლო სტიქიურ ძლიერებიდან კეთილშობილურს უარყოფაზე გადადის. ეს მაშინ, როდესაც მიძინარე დეზდემონას სარეკელთანა სდგას და რუევაშია, მოგვლა თუ არაო. აქ მას უაყელი ღონე უნდა ეხმარა, რომ თავის გამჭვირვალ მონალოგით წარმოედგინა ილღუზია თუნდა გაკა მოსხმული ჰამლეტისა იმ განსხვავებით, რომ ჰამლეტის დიდებული მინალოგი **მის საკუთარს** „უოფნა არ უოფნას“ შეეხებოდა, მაშინ როდესაც ოტელლო სხვის „უოფნა არ უოფნის“ საკითხში იყო მაგრამ ეს სხვა ხომ მისი სულს ნატყხი არის...

აქ, იგი, ვერ კიდევ ჰამლეტია ვიდრე დეზდემონას მოჰქვავს, მან უნდა ხაჰკლას თავის გულში ჰამლეტი. მაშინ, რა თქმა უნდა, კატასტროფაც უფრო ნათელ სახეს მიიღებდა, უფრო ნათლად წარმოგვიდგებოდა ოტელლო, რომელიც ჰარმონიისა და ბედნიერების უმაღლეს წერტილზე იდგა და ისეთს უფსკრულში ვი ვადმოეშვა. აი, ამის დახატვა ვერ შესძლო გუნიამ, მან სისწორიოა ხაზი ვერ გაუსვა, ნათელ ვერა ჰყო ის სრული ნეტარების სამეფო, როდესაც მისი ადამიანობის მზე მზეურად ბრწყინავდა მთელი თავისი მშვენიერების შარავანდედით შემოსილი, ხალხ ვერც თუ შორე უფსკრულის სახე გვაჩვენა, რომელშიც იგი ვადმოეშვა მხამიან იაკოს მანქანებით. აქ გუნიამ ვერ დაგვანახვა ის ქალის, რომლის შესახებაც ოტელლო უთხრა დეზდემონას: ქალის ვამიმეფდე-

ბა, თუ რომ შენ ოდესმე არ შევევარებაო! მართლაც ბირვლ ნეტარების ხანაში ოტელლო მოელი კალმობია. ვიდრე მას სწამს, იგი კანონიერია და მშვენიერი, მაგრამ აი, იგი ვადმოსტუფრცნის ბირვანდედის მშვენიერს მდგომარეობაში, რის ვამოც იგი ვარდნიქსება ვარდნიქსამად: კეთილშობილი შავი მხედართ-მთავარი არა თუ ჰქვავს თავის დეზდემონას, არამედ ხელსაც მოიღებს! ოტელლო წვრილმანდება, ის ვმარი ვი არ არის, არამედ ბატონივარილი მამაკაცი. აი ამ რეალობის ქალის მავრის სულში, თითქმის სრულებით ვერა ვხახეთ გუნიას ოტელლოში. ერთად ერთი მომენტი, სადაც იგი რამდენადმე აღმაღლდა ოტელლომდე (და უეჭველია, უფრო ვარვადაც დასურათებდა, თუ რომ ავადმეოფობის მიერ ვამეოფლილ სისუსტეს ხელი არ შეეშალა) ეს ის მომენტი იყო, როდესაც ქარიშხალ ვადვლებული ოტელლო მწარედ ეთხვება თავის ბედს: „მშვიდობია სხანო ჰილოსახნო...“ და სხვა.

ოტელლოზე არა ნაკლებ საყურადღებო ფიგურაა იაკო (ვ. მესხი). სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, რომ ვერც ეს ამაღლდა შექსპირის მიერ დახატულ იაკომდე. ეს უფრო კეთილშობილ რაინდსა ჰგავდა, ვიდრე იმ „ხახევრად ეშმაკს“, რომელიც დააჯილდოვა შექსპირმა ბიწიერების მანტიათ: იგი ვადმეერაა, თულის მოყვარული, ვარეზილი და ამავე დროს შურის მძიბებელი, რომ ოტელლოსა და კასიოს (და მვალაბლიშვილი) ვადუხადოს სამაგიერო, ვანაიდან მისი მეუღლე ემილია (ქ-ნი ვოგოლაძეილის ასული) ხშირადა ამ ორ ადამიანზე. სცვლიდა მას. მძიმე და უხეშა მიხვრა-მოხვრა სრულებით ვერ შეესაბამებოდა იაკოს; ამ შემთხვევაში იგი ოტელლოს ტრაგედიის ვარიკატურული ფორმა იყო და შეტი არაფერი. მან ვერ შესძლო დაეხატა ვაუუჭებული ორპირი ადამიანის სახე, რომლის ვეულის სისინი ვესლს ანთხეეს წარა-მარად და ბირველი თვითონ ვვარნახებს კეთილ-შობილ მავრს, რომ დეზდემონა დახრჩოს. შეიძლება მატონეცემულმა მისხიობმა თავისებურად ვაიგო ეს რაღი, მაგრამ ნუ ვაივიწეებს, რომ შეტად ვაღბად ვაეგაა და სხვა დროს საჭიროა საესებით შესცვალოს ასეთი შესედულობა.

რაც შეეხება დეზდემონას... ეჰ, რაღა ვთქვათ! ცოტად მაინც ისევე „თქმა სჯობს არა თქმისა“. ქ-ნი ქიქობის ასული ვერ კიდევ ბევრად ვამეფდელია, რომ ასეთს რთულს რაღს მოჰკიდოს ხელი. ტრფიალების ხაჰქრობელი სახაელი, რომლის შექსაც დეზდემონა ფარვანასავით დასტრიალებს, მის ხელში საცლადავად ჰკრთადა. არავითარი სიცლცხლე, არავითარი ვატაცება, არავითარი სინარხარე... მართალია ხმა ნაზი აქვს, მაგრამ რას ნიშნავს მარტო ერთი ხმა, თუ მის ვამოთქმას არ ექნება ვრადია, შესაფერი მახვრა-მოხვრა, შესაფერი ვე-



სტი! სად იყო დეზდემონს, რომელიც ტრაგედიის გვირგვინს წარმოადგენს? სად იყო სიკვდილის ქორწინებით შექმნილი შარავანდედი, რომელითაც იგი თავს დაედგმის განაწილებულ ოტელლოს და თან გაიტაცებს იმ ქვეყნად, სადაც არ სუფევს ეჭვიანობა, არცა იაკო, არცა სისასტაგლე, არამედ ტრფიალება — კვლავ დეზდემონს და ოტელლო! ხეტავ სად იყო ის ხაზი, რომელიც დეზდემონს უნდა გაესვს, რომ ტრაგედიის მიუწოდებელს გვირგვინს არა ეს ეჭვიანობა შეადგენს, არა იაკოთა ჰრამზადობა, არამედ დიდებული იდეა უმწიკვლო სიუფარულისა, სადაც თვალწარმტაც ზღაპრის ფაბულა გარს დასტრიალებს მავრისა და ვენეციელ ოქროს-თმის გოგონას... არა, ქ-ნი ქიქობის ასული ჟერ კიდევ გამოუცდელია ასეთ ჰასუსსაგებ რაღებში გამოსასულივად!

დანარჩენი აღარ შეგვხვებით: თვითანვე მიხედნენ, რაც რომ იფუნქნ ჩვენს სტენაზე.

საზოგადოთ უნდა შევნიშნათ, რომ ჩვენი სტენა სათანადოთ ვერაა ამადლებული, რომ კლასიკოთ ასე ხშირად დაუთმით ადგილი. ტექნიკის განუფითარებლობას თანა სდევის მსახიობთა უძღურა მხარე. ნუ წარვიხოცავთ სსსოებს, მაგრამ ნურც ასე გამოვიდებთ თავს, რომ ასე ხშირად შეგვეძლოს ჩვენი სუსტი ძალებით „ანტიგონისა“, „მეფე ღირისა“, „ოტელლოსი“, ხვალ კიდევ „ოიდიპოსის“ დადგმა. რა თქმა უნდა ცდა ბედის მონახეურკა, მაგრამ წარა-მარად „ცდა“ საზოგადოებას გუფს აუტრუებს, ვინაიდან იგი მარტო „ცდის“, დასასწრებლად არ დაიარება თეატრში: იგი კანონიერს დაკმაყოფილებას მოითხოვს!..

**ქართლელი.**

**ადრიანოპოლის დამხობა და სახელმწიფო სათათბირო**

(გაზეთებიდან).

სახელმწიფო სათათბიროში მსჯელობა იყო საარჩევნო კანონის შეცვლაზედ; მორიგ ორატორების შემდეგ ავიდა ტრიბუნაზედ გელოვანი და შრომის ჯგუფის შეხედულება უნდა განემარტა.

ამ დროს მოვიდა დებეშა: ადრიანოპოლი იერიშით აიღეს ბულგარელებმაო. ხმა გავრცელდა სათათბიროში. კრუპენსკიმ დაიყვირა: „ადრიანოპოლი დაეცა, ურა!“ აღფრთოვანებულმა „ურამ“ და ყვირილმა შეაწყვეტინა სიტყვა გელოვანს.

თითქმის მთელი დუმა სიხარულით და აღტაცებით მიეგება ამ ამბავს. კრუპენსკიმ ითხოვა სიტყვა და ურიგოდ შეუშალა ლაპარაკი გელოვანს:

— უნდა დებეშა გაუგზავნოთ მილოცვისა ბულგარელ „ეროვნულ კრებას“ და გადვიხადოთ სამადლობელო პარაკლისიო.

ეროვნული კრებას  
ნიკოლოსოვი

ასტყდა ისევ ყვირილი. სხდომის შეწყვეტის შემდეგ, ტრიბუნაზედ აღის ჩხეიძე. ამ დროს მოისმის მილოცვების ხმა დანევისა და ბობჩევისადმი (პირველი თავჯდომარეა ეროვნულ საკრებულოსი და მეორე — ელჩი ბულგარეთისა პეტერბურგში), რომელნიც მოვიდნენ სათათბიროში.

ჩხეიძე ამბობს: რაც უნდა მოხდეს, თავჯდომარე მოვალეა დაიცვას „ნაკაზი“, მან კი დაარღვია იგი, გელოვანის სიტყვის შეწყვეტით. ბულგარელ და ოსმალელ თანამოაზრებთან ერთად ს. დემოკრატები ერთხელ კიდევ აცხადებენ პროტესტს ყოველგვარ სისხლისღვარის წინააღმდეგ და რაკი არა სურთ მონაწილეობის მიღება შოვინისტურ პოლიტიკაში, წინააღმდეგნი არიან დებეშის გაგზავნისა.

**ადრიანოპოლი დაემხო** და ამგვარად ბალკანეთის ომი ბოლოვდება სრულის გამარჯვებით „ხალგაზრდა სახელმწიფოთა“ კავშირისა. თავდება ერთი ომი ტლიკვიდაცია მისი ჰაერში აგროვებს უარესს ღრუბლებს. გაზეთების სიტყვით, ავსტრიის დემობილიზაცია სულ ტყუილი გამოდგა, სერბიის, ჩერნოგორიის და რუსეთის საზღვრებზედ პირიქით იგი აძლიერებს ჯარებს და გაჩქარებით საოპრად ემზადება. იტალიაც მკლავს იმარჯვებს და ვინ იცის რა უაღრესი უბედურება მოეღის კაცობრიობას, თუ მართლა აიწყვიტა თავი ომის შავბნელმა ვეშაპმა. პროტესტები ცალკე პირთა და დეპუტატებისა ცრებიან ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა, როდესაც პარლამენტის თავჯდომარენი სასიხარულო ამბორით აღნიშნავენ ადრიანოპოლის მცხოვრებთა სისხლის დაღვრას და ისტორიული მოვლენანი თითქო სთელავენ ადამიანთა სურვილებს.

**მეომარი.**

რედაქტორ-გამომცემელი


რ. გაბაშვილი.



მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ღვინო


საზოგადოება „კახეთი“-სა



ესო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გაღმორება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866<sup>1</sup>/<sub>2</sub> ღვინის ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## კალა ერთობაშია!

კახელებო! ჩვენ ერთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანი მოწესრიგებული და მკვიდრად დაუძინებელია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.